

შპს მოლორ ეიბისი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წელი 31 დეკემბერი

შპს მოორ ეიბისი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	8
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	8
5. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებების ცვლილება 8	
6. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	9
7. მიღებული სესხები.....	9
8. კაპიტალი	9
9. ამონაგები	9
10. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან.....	9
11. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	9
12. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ	9
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	9

შპს მორე ეიზისი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	671,886	355,340
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	1,098,202	750,258
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,770,088	1,105,598
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	105,548	106,951
არამატერიალური აქტივები	5	4,410	5,100
სულ გრძელვადიანი აქტივები		109,958	112,052
სულ აქტივები		1,880,046	1,217,650
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		8,515	8,852
საგადასახადო ვალდებულებები		83,505	44,408
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	348,924	260,797
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		440,944	314,057
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7	168,000	168,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		168,000	168,000
სულ ვალდებულებები		608,944	482,057
საკუთარი კაპიტალი	8		
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1,271,102	735,593
სულ საკუთარი კაპიტალი		1,271,102	735,593
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,880,046	1,217,650

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს

მიხეილ აბაიაძე

დირექტორი



შპს მომორ ეიზისი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	9	3,725,913	2,483,530
დასაქმებულთა ანაზღაურება და სხვა სარგებელი		(2,161,247)	(1,559,349)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები		(84,388)	(86,819)
იჯარის ხარჯი		(99,193)	(96,340)
ცვეთა და ამორტიზაცია		(38,955)	(41,902)
საკონსულტაციო და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები		(191,454)	(162,357)
საგადასახადო ხარჯი		(2,747)	(1,785)
ოფისის ხარჯი		(59,399)	(44,435)
მივლინების ხარჯები		(85,674)	(48,712)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(245,412)	(268,937)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,968,468)	(2,310,635)
საოპერაციო მოგება		757,445	172,894
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	10	(2,087)	(6,276)
სხვა არასაოპერაციო ზარალი		-	(395)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი		(219,849)	-
მოგება, მოგების გადასახადის ხარჯამდე		535,509	166,223
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		535,509	166,223

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს

მიხეილ აბაიაძე

დირექტორი



შპს მომრ ეიზისი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მ/(ზ)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	569,370	569,370
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	166,223	166,223
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	735,593	735,593
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	755,358	755,358
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	1,490,951	1,490,951

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს

მიხეილ აბაიაძე

დირექტორი



შპს მომორ ეიზისი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "მომორ ეიზისი" დაფუძნდა 2008 წლის 6 ივნისს და დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ სადენტიფიკაციო ნომრით: 206331691. კომპანიის მეწილეები არიან: მიხეილ აბაიაძე - 25%, ედუარდ აბაიაძე - 30%, მარინე ჯოხაძე - 45%, ხოლო დირექტორები: ედუარდ აბაიაძე და მიხეილ აბაიაძე.

ხოლო 2025 წლის 17 სექტემბერს მოხდა ცვლილება შემდეგნაირად: მიხეილ აბაიაძე - 20%, ედუარდ აბაიაძე - 25%, მარინე ჯოხაძე - 35%, სოფიო აბაიაძე - 15%, თეონა აბდუშელიშვილი-ბროძელი - 5%, ხოლო დირექტორები: ედუარდ აბაიაძე, მიხეილ აბაიაძე და თეონა აბდუშელიშვილი-ბროძელი.

2024 წელს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არის 53.

კომპანიის საქმიანობის აღწერა: აუდიტორული, ბუღალტრული და საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება;
კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, მარჯანიშვილის ქუჩა, N 6.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგებების სტანდარტის (IFRS for SME) მიხედვით.

კომპანიამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შეღავათი, რაც ეხება ფულადი ნაკადების ნებაყოფლობით წარდგენას, რის გამოც არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესაძარის ინფორმაციას.

მის ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანია ფინანსური ანგარიშგებას წარადგენს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები.

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში, ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა, მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულებების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში, ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა, დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენი ვალდებულება კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-8
სატრანსპორტო საშუალებები	10

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამას. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღრიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური სასარგებლო მომსახურების 10 წლის ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

დაგრობილი მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-Dec-24	31-Dec-23
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	336,568	235,989
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	335,318	119,351
სულ	671,886	355,340

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-Dec-24	31-Dec-23
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	641,608	328,582
გაცემული ავანსები	676,443	406,676
სხვა მოთხოვნები	-	15,000
საექვო ვალების რეზერვი	(219,849)	-
სულ	1,098,202	750,258

5. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებების ცვლილება

დასახელება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	პროგრამული ლიცენზიები	სულ
საბოლოო ნაშთი 31/12/2022	157,338	30,540	64,080	7,509	259,467
შემოსვლა	18,436	2,550	-	-	20,986
გასვლა	-	-	-	-	-
საბოლოო ნაშთი 31/12/2023	175,773	33,090	64,080	7,509	280,452
შემოსვლა	32,452	4,409	-	-	36,861
გასვლა	-	-	-	-	-
საბოლოო ნაშთი 31/12/2024	208,225	37,499	64,080	7,509	317,313

დაგროვილი ცვეთა

დასახელება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	პროგრამული ლიცენზიები	სულ
დაგროვილი ცვეთა 31/12/2022	74,853	3,444	46,515	1,686	126,498
პერიოდის ცვეთა	30,062	3,365	7,753	723	41,902
გასვლა	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31/12/2023	104,915	6,809	54,268	2,409	168,400
პერიოდის ცვეთა	32,222	4,081	1,963	690	38,955
გასვლა	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31/12/2024	137,137	10,889	56,230	3,099	207,355

წმინდა საბალანსო ღირებულება

დასახელება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	პროგრამული ლიცენზიები	სულ
საბალანსო ღირებულება 31/12/2023	70,858	26,281	9,813	5,100	112,052
საბალანსო ღირებულება 31/12/2024	71,088	26,609	7,850	4,410	109,958

6. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

მიღებული ავანსები	332,703	245,862
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9,961	9,272
სხვა ვალდებულებები	6,260	5,663
სულ	348,924	260,797

7. მიღებული სესხები

	31-Dec-24	31-Dec-23
სხვა ნასესხები თანხები	168,000	168,000
სულ	168,000	168,000

8. კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი არ აქვს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი მოგება შეადგენს **1,490,951** ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **735,593** ლარს.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის პარტნიორთა მიერ. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

9. ამონაგები

კომპანიის 2024 და 2023 წლებში მიღებული შემოსავლი მთალიანად განისაზღვრა მომსახურების გაწევიდან და შეადგინა: 2024 წელს 3,725,913 ლარი და 2023 წელს 2,483,530 ლარი.

10. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2024	2023
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	14,153	3,770
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	(16,240)	(10,046)
სულ	(2,087)	(6,276)

11. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წელს კომპანიის ხელმძღვანელ პირებზე გაცემული ანაზღაურება შეადგენს 344,981 ლარს, ხოლო 2023 წელს 263,157 ლარს. 2024 და 2023 წლების მდგომარეობით კომპანიას დაკავშირებული მხარეები არ ყავს, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები.

12. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს, არ მომხდარა.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს.